1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (273) 10 თებერვალი 1965 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

46. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩილის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ს. ანიკინის დანიშვნის შესახებ.
47. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 9, 19 და 21 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
48. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

49. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საპატიო წევრის ამხ. კ. ვ. ხრუტკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
50. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. აფანასიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
51. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
52. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ფეოკტისტოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
53. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „[illegible]“ მთავარი რედაქტორის ამხ. ა. მ. რუმიანცევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

54. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.
55. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ.

4 (273)
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მეოთხე

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 ჩილის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ს. ანიკინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე სერგის ძე ანიკინი ჩილის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 იანვარი.

№ 3218-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 9, 19 და 21 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 10) 9, 19 და 21 მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 9 მუხლს „თვითნებური წასვლა“ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ პუნქტი:

„დ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა შემამსუბუქებელ გარემოებაში —

იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას“.

2. 19 მუხლის „საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა“ „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) საყარაულო (სავახტო) სამსახურის საწესდებო წესების და ამ წესების გასავითარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევა, ჩადენილი საბრძოლო მასალების, იარაღის, საბრძოლო ტექნიკის საწყობების ან სხვა დიდი მნიშვნელობის ობიექტების დაცვის ყარაულში და საგუშაგოებზე —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან სამ წლამდე“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გ) სადარაჯო ან საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დანიშნულია სადარაჯო ყარაული (საგუშაგო) ან ბადრაგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნით სამი თვიდან ორ წლამდე";

„დ) ამ მუხლის „ა" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ წლამდე".

3. 21 მუხლის სახელწოდება და ამ მუხლის „ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა —

ა) სსრ კავშირის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის, ან საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად დაცვის საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფეულის, ეკიპაჟის, საგუშაგოს ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფის შემადგენლობაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე".

4. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებანი და დამატებანი ამ გრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ვიქტორიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 იანვარი.
№ 3228-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 აზერბაიჯანის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ" სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ" და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაითვალოს ძალადაკარგულად აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 მარტიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჟოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 იანვარი.

№ 3255-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 იანვრის № 3255-VI ბრძანებულებისა „აზერბაიჯანის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნუსხა

სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51 მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ. 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1 მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

49 საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საპატიო წევრის ამხ. კ. ვ. ხრუცკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის განმტკიცების ხაზით მრავალი წლის მოღვაწეობისათვის და დაბადების ას ათ წელთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე ბიკენტის ძე **ხრუცკი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 იანვარი.

№ 3217-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 ამხ. პ. ი. აფანასიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სკკპ მაგადანის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. პავლე იაკობის ძე **აფანასიევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 იანვარი.

№ 3227-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. აბას ყზი **დილაფრუზს** — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელ სოღანლუღი.

2. მერიემ ხალილის ასულ **თავართქილაძეს** — კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თამარ ეგის ასულ ფიფიას — კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონის სოფელი ჯვარი.

4. ემინე ჰუსეინის ასულ შოთაძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი ბზუბზუ.

5. ლიმონი ილარიონის ასულ ციმიტიას — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 იანვარი.

№ 3260-VI.

52 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ფეოკტისტოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში მრავალი წლის აქტიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ჩუქჩეთის საოკრუგო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პეტრე ივანეს ძე ფეოკტისტოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 იანვარი.

№ 3277-VI.

53 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „პრავდას“ მთავარი რედაქტორის ამხ. ა. მ. რუმიანცევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდას“ მთავარი რედაქტორი ამხ. ალექსი მათეს ძე რუმიანცევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 თებერვალი.

№ 3280-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

მიმდინარე წლის 21 მარტს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით გათვალისწინებულ ვადებში დაამთავრონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მშრომელთა კრებებზე წამოყენება და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე დამტკიცება;

ბ) უზრუნველყონ საარჩევნო უბნებისა და ოლქების მოწყობა არჩევნების დებულების მოთხოვნის სრული შესაბამისობით, დროულად მოამარაგონ ისინი საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ყუთებით, ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებით და სხვა მოწყობილობით;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, უზრუნველყონ ისინი საქართველოს სსრ კონსტიტუციით, არჩევნების დებულებით და საარჩევნო ლიტერატურით, ჩაატარონ მათი თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები, განუმარტონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი და საარჩევნო დოკუმენტაციის სწორად შედგენის წესი. გამოცდილების გაზიარების მიზნით, პერიოდულად მოაწყონ საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მდივნების და აგიტატორების შეკრებები, შეხვედრები ამომრჩევლებთან და სხვ.;

დ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილ იქნეს გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით და სხვა აუცილებელი მოწყობილობით;

ე) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების ზუსტად შედგენის საქმეს, არ დაუშვან ხმის უფლების მქონე არცერთი მოქალაქის გამოტოვება, დააზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში;

ვ) უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საერთო კრებებზე ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადებში, რომ შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დებულებით განსაზღვრულ დროისათვის შეძლონ მათი რეგისტრაციაში გატარება;

ზ) მიიღონ ზომები, რათა დროულად და საკმაო რაოდენობით დაიბეჭდოს საარჩევნო ბიულეტენები სათანადო ენებზე და უზრუნველყონ მათი საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ჩაბარება დაწესებულ ვადაში;

თ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ სატელეგრაფო ცნობების დაწესებულ ვადებში წარდგენა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. თ. პ. ბუაჩიძე) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გააუმჯობესოს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა და კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკებისა და აგიტმხატვრული ბრიგადების საშუალებით ფართოდ გაშალოს მოსახლეობაში სათანადო მუშაობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს (ამხ. კ. ი. ქავთარაძე) ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გააძლიეროს კავშირგაბმულობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობა და მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე უზრუნველყოს ყველა საარჩევნო უბანი სატელეფონო კავშირით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბალათურია) თვალყური ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გელბახიანის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ინვალიდთა სახლების მუშაობა გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სათანადო ყურადღება ეჩცევა ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა ინვალიდთა შორის. მოზარდ ინვალიდებს (ახალქალაქის ინვალიდ ქალთა და ბავშვთა სახლებში) ყველა პირობა აქვთ შექმნილი საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისათვის.

4 (278) ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვალიდთა გარკვეული კონტინგენტი, ექიმის დასკვნის მიხედვით, ჩაბმულია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში — დამხმარე მეურნეობებში, სახელოსნოებში, მორიგეობს სამზარეულოებში, პალატებში, დერეფნებში, თვალყურს ადევნებს სისუფთავის დაცვას, ინვალიდთა სახლების ინვენტარისა და ქონების მოვლა-პატრონობას. კამანის ინვალიდთა სახლში შრომაში ჩაბმულია 46 ინვალიდი, თერჯოლის სახლში — 26, ქუთაისის — 21 კაცი და ა. შ.

ინვალიდთა სახლებში სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მაგრამ მათ საექიმო მომსახურებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არ სრულდება რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ინვალიდთა სახლების ექიმებით დაკომპლექტების შესახებ. ამჟამად ექიმი არის მხოლოდ სამ სახლში, დანარჩენ სამ სახლს ექიმები შეთავსებით ემსახურებიან, ხოლო ორ სახლში ექიმი არ არის. ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა არ უზრუნველყვეს ინვალიდთა სახლი საექიმო მომსახურებით.

სერიოზული ნაკლოვანებებია ინვალიდთა სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ ინვალიდთა სახლებს ხორცით, კარტოფილით, რძითა და რძის ნაწარმით, თევზით, კვერცხით, ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით.

აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ დადგენილი წესისა სავაჭრო ორგანიზაციები ზოგიერთ ინვალიდთა სახლებს კვების პროდუქტებს აწოდებენ არა საბითუმო, არამედ საცალო ფასებში.

ინვალიდთა სახლების ზოგიერთი საშეფო ორგანიზაცია (მაგალითად, ეშერის სასწავლო მეურნეობა) ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, დახმარებას არ უწევს ინვალიდთა სახლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიიღოს საჭირო ზომები ინვალიდთა სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების და სახელმწიფო მზრუნველობაზე მყოფი ინვალიდების მოვლა-პატრონობის უკეთ დაყენებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს ინვალიდთა სახლების დაკომპლექტება საექიმო პერსონალით და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ინვალიდთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მიიღონ ზომები ინვალიდთა სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, არ დაუშვან ინვალიდთა სახლებისათვის ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების ნაკლები რაოდენობით ან არასრული ასორტიმენტით გაცემა. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად შეამოწმონ ინვალიდთა სახლებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის კვების პროდუქტებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების საკითხი და მიიღონ სათანადო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო, გულრიფშის, ცხაკაიას, თერჯოლისა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ინვალიდთა სახლებისადმი, მიიღონ ზომები ინვალიდთა შრომისა და ცხოვრების პირობების, საექიმო მომსახურებისა და ინვალიდთა კვების საქმის გაუმჯობესებისათვის;

ბ) დასახონ ღონისძიებანი ინვალიდთა სახლების მიმართ საშეფო მუშაობის გასაძლიერებლად პერიოდულად მოაწყონ საღამოები, თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები, შეხვედრები ახალგაზრდობასთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან და სხვ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 1965 წლის 1 აგვისტოსათვის მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 იანვარი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. ი. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეტალურგიული მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი ამხ. ირაკლი სიმონის ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 3 თებერვალი.

4 (273)
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 130 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		22
ქ. ქუთაისიდან		3
ახალციხის	რაიონიდან	26
გურჯაანის	„	3
თიანეთის	„	4
ლენტეხის	„	46
საჩხერის	„	26